ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5153653

ნომერი: AR1781252

თარიღი : 11.10.2020

გაცემის თარიღი : 26.10.2020

გაცნობის თარიღი : 27.10.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა როდენი , N 8 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა იაკობ ნიკოლაძე , N 14 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ი. ნიკოლაძის , N 12 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა იაკობ ნიკოლაძე , N 10;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თეა თაბაგარი პ/ნ 01001012443
- თბილისი გლდანი I მ/რ კორ. 15 ბ. 88

ნომენკლატურა :

- სასტუმრო
- IV კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: სასტუმრო
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ირაკლი აბაშიძე

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "ელიტ ჯგუფი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 406062433
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ავთანდილ იაშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01002004622

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 3758777 (ცვლილება: 4284186)
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 28.12.2017

ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის კორექტირებული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ 2018 წლის 07 დეკემბრის № 4284186 ბრძანებასა და მშენებლობის სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილების შეტანის შესახებ.

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2018 წლის 07 დეკემბრის №4284186 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში (სექტორი – მთაწმინდა), როდენის ქ. N8;ი. ნიკოლაძის ქ.N14; ი. ნიკოლაძის ქ. N12; ი. ნიკოლაძის ქ.N10 -ში სასტუმროს კორექტირებული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 07 დეკემბრიდან 2020 წლის 07 დეკემბრის ჩათვლით.

2020 წლის 11 ოქტომბრის AR1781252 განცხადებით სამსახურს მომართა მოქ. თეა თაბაგარმა და მოითხოვა მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელების მიზნით 2018 წლის 07 დეკემბრის №4284186 ბრძანებაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილების განხორციელება.

სამსახურმა განაცხადის განხილვის შედეგად გადაწყვიტა, რომ მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს..

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის,"კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად.

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 07 დეკემბრის № 4284186 ბრძანებაში, კერძოდ: "მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2018 წლის 07 დეკემბრიდან 2020 წლის 07 დეკემბრის ჩათვლით" შეიცვალოს "მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2020 წლის 27 ოქტომბრიდან 2022 წლის 27 ოქტომბრიდან ჩათვლით"
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 07 დეკემბრის №4284186 ბრძანებასთან ერთად;

- აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.